მამუკა მაღულარია

თქვენ გელოდებათ ტაქსი

მონო პიესა ერთ მოქმედებად

სცენა წარმოადგენს ოთახს, რომლის ცენტრშიც დგას ფირსაკრავი.

შემოდის **კ ლ ი მ ი** *, ჯდება და ტელეფონით რეკავს.*

კ ლ ი მ ი :

– ალო, დიახ, ტაქსის გამოძახება მინდა.
– რამდენი ხანი დააგვიანდება?
– დიახ არ არის პრობლემა.
– მისამართი ჩაიწერეთ ოღონდ, დისკებიანს ისევ ორდიპლომიანი მირჩევნია.
– არა არაფერი, უბრალოდ რაღაც გამახსენდა …

შემდეგ მაგიდასთან მიდის და საკრავზე ფირფიტას დადებს.

ჟღერს მუსიკა (დომენიკო ჩიმაროზას "ჰობოის კონცერტი")

კ ლ ი მ ი :

– ვერ ვიტან ავტომობილის მართვას. თუ შეიძლება ითქვას, პროფესიონალი ფეხით მოსიარულე ვარ. არც არასდროს მყოლია. სამაგიეროდ მყავდა კარგი მეგობარი – თაზო. რომ იტყვიან, ორივენი მუდამ ერთ ჭკუაზე ვიყავით: ორივე ერთ ეზოში გავიზარდეთ, ერთი სკოლა დავამთავრეთ, ორივემ ერთსა და იმავე სამსახურში

დავიწყეთ მუშაობა და რაც მთავარია: ორივეს ძლიერ გვიყვარდა მუსიკა! ჩვენი გული, სული და გონება იმ დროს, მთლიანად "დისკებით", უფრო სწორად კი ფირფიტებით იყო დაკავებული: ვაგროვებდით, ვიწერდით, ვცვლიდით ფირფიტებს, ერთი სიტყვით პირზე სულ "დისკები" გვეკერა...

– ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ბებიაჩემი, საჭმელს რომ მაჭმევდა თან აუცილებლად რომელიმე ფირფიტას ჩამირთავდა ხოლმე. როგორც ყველა დედისერთა, მეც განებივრებული ბავშვი ვიყავი, მაგრამ მაინც მოწყენილობას ვგრძნობდი. 16-ის ვიქნებოდი, პირველად წვერის გაპარსვა რომ გადავწყვიტე. ამ დროს თოვლიც წამოვიდა. ამის გამო უცნაური აღმაფრენა ვიგრძენი. განწყობილებას ხელს მხოლოდ წვერის ელექტრო საპარსი უშლიდა, რომელიც ყურთან ისე საშინლად ზუზუნებდა რომ, იქვე ჩამოკიდებულ რადიოს ბოლომდე ავუწიე.

ჟღერს ნამდვილი ჯაზი (ჯილ ევანსის "წმინდა სისხლის ულაყი")

კ ლ ი მ ი :

– იმ შოკისმომგვრელი შთაბეჭდილების სიტყვებით გადმოცემა დღესაც მიჭირს... ირგვლივ ყველაფერი გაფერადდა და აენთო! იყო ამ მუსიკაში რაღაც არაჩვეულებრივი, იდუმალი, მანამდე არნახული. საპარსი სასწრაფოდ გამოვრთე და ყურები დავცქვიტე. მართალია დიქტორი აგდებით საუბრობდა დასავლურ მუსიკაზე, მაგრამ მისი ხმა თითქოს მოწოდებასავით ჩამესმა: "ვისაც გამჩენი არ გასვენებთ ამ მუსიკას უსმინეთო". იმ დილიდან მოყოლებული, სიცოცხლე ამ მუსიკის გარეშე ვეღარ წარმომედგინა. ყველაფრის ცენტრში კი იყო ის წმინდა ნივთი – უცხოური ფირფიტა, რომელიც ასეთი იშვიათობა იყო და რომელზე ძვირფასიც არაფერი მეგულებოდა...

– მე და თაზოს, ორივეს ერთი ხელმძღვანელი გვყავდა. ახალგაზრდა, ახოვანი, ენერგიული, ჯან-ღონით სავსე, ათლეტური აღნაგობის კაცი. ზომიერად აყოლილი მოდას: ოდნავ ჩამოგრძელებული ბაკენბარდებით, წელში ოდნავ გამოყვანილი პიჯაკითა და წვეტიანი ფეხსაცმელით. ძლიერ უყვარდა მზის სათვალის ტარება და თითქმის არასოდეს იხსნიდა ხოლმე. კარგი უცხოური მანქანაც ჰყავდა და თვითონაც საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებოდა. ახალგაზრდობის მიუხედავად, რამდენიმე თანამშრომელი მიგვაბარეს და ჩვენთან მუშაობა ძალიან კარგად დაიწყო…

– ამ მანქანაზე ჭკუას კარგავდა მარი, ჩვენი ხელმძღვანელის მდივანი. უსაშველოდ ცნობისმოყვარე, ყოველთვის მხიარული იყო. ლამაზი? ალბათ უფრო მომხიბვლელი თუ ეთქმოდა. ყველა ამბობდა: რა კარგი ხასიათი აქვსო. ცოტა უფრო სერიოზული რომ ყოფილიყო და მე-19-ე საუკუნეში ეცხოვრა, მასზე იტყოდნენ: ფრიად მიმზიდველი, პატარა ქალიაო. მე და თაზოს ერთად რომ დაგვინახავდა, ჯერ სიგარეტს გვთხოვდა, მერე თავის დიეტაზე მოგვიყვებოდა და ბოლოს გამოგვიცხადებდა: "რით ვერ დაიღალეთ "დისკებზე" ამდენი ლაპარაკითო".

– ერთ მშვენიერ დღეს, ხელმძღვანელმა თავის კაბინეტში დამიბარა. როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ გამოიყურებოდა: გულის ჯიბეში ზუსტად ჰალსტუხის ფერი ცხვირსახოციც მოუჩანდა. კარგა ხანს დაკვირვებით მიმზირა, თქვენ წარმოიდგინეთ - მზის სათვალეც კი მოიხსნა და ბოლოს, როგორც იქნა ცივად მომახალა:

„ თქვენ რა, სულ გადაირიეთ!? დისკებით და საბურავებით ვაჭრობა თუ გინდოდათ, აქ რას მოდიოდით!? შენი ოჯახის შვილს ეს გეკადრება!? ახლა სამსახურიდან რომ გაგაგდო, მამაშენს რა ვუთხრა!? ეჰ, მამაშენის ხათრი არ მქონდეს, მე ვიცი რასაც ვიზამდი. მაგრამ რაც არის – არის, ეს ამბავი ჩვენში უნდა დარჩეს, ოღონდ ერთი პირობით.

– ყურებს არ ვუჯერებდი. პირობის გაგონებაზე კი, მხოლოდ ეს აღმომხდა: ”როგორ, ნუთუ თქვენც” – მეთქი, მაგრამ თურმე სად ხარ!? მან კი ხმადაბლა განაგრძო:

> ” მოგეხსენება ახლა დისერტაციაზე ვმუშაობ, მერე სამსახური, ვარჯიში... ამისი დრო და ენერგია ნამდვილად აღარ მაქვს. ერთი სიტყვით, ჩემი მანქანისათვის მინდა გთხოვო ახალი დისკები. ფულზე რათქმაუნდა არც იფიქრო! რას მიყურებ? მიდი მონაცემები ჩაიწერე. პატივისცემა ჩემზე იყოს. არც ისე უცხოები ვართ ბოლოს და ბოლოს. ჰო ასე აჯობებს, დამიჯერე...

ჟღერს კარლოს სანტანას ”ევროპა”

– მე და მარიმ იმ წელს ვიქორწინეთ, ხელმძღვანელმა თაზო რომ ჩამოალაბორანტა. თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი: ამქვეყნად მქონდა ყველაფერი რაზეც კი ოდესმე მიოცნებია: თითქმის ყველა ის მთავარი ფირფიტა, რომელიც მიყვარდა და რაც მთავარია, გვერდით მყავდა მარი – შესანიშნავი მეუღლე, ერთგული მეგობარი და გადასარევი დიასახლისი. ისეთი რა უნდა ყოფილიყო, მისი ხელიდან რომ არ გამოსულიყო. გნებავთ რომელიმე კერძი - თუნდაც ჩინური, გაქათქათებული თეთრი საყელო - სვიტერ ზემოდან, თუ ნებისმიერი სხვა რამ საოჯახო საქმე. მისი გამომგონებლობა პირდაპირ უკიდეგანო იყო…

– ჩვენი ერთობლივი პირველი ახალი წელიც ახლოვდებოდა. ძველი წლის უკანასკნელ დღეს საჩუქრებით დატვირთული, ფრთაშესხმული ვბრუნდებოდი სახლში. ფიფქების სახეზე შეხება მსიამოვნებდა. ქუჩა სულმოუთქმელად გადავკვეთე და ფილარმონიასთან ავუხვიე. კარი ბედნიერმა მარიმ გამიღო - ვისი ბადალიც ქვეყნად არ მეგულებოდა. ჩვენი ბინა მთლიანად ყვავილებით იყო მირთული, რომლებსაც ორივენი ვაღმერთებდით. ერთმანეთს აღფრთოვანებული ვუღიმოდით.

პირადად მე, ეს ღიმილი კარგა ხანს შევინარჩუნე... ჰოდა ვიდექით ასე გაღიმებულნი, ერთმანეთის პირისპირ, ყვავილებით გარემოცული - რომლებიც მეგობრულად გვიმზერდნენ, ქოთნებად გადამდნარი ჩემი ყოფილი ფირფიტებიდან...

ჟღერს მუსიკა (დომენიკო ჩიმაროზას "ჰობოის კონცერტი")

– იმ ღამით ბებია დამესიზმრა. ვითომ ტაქსის მძღოლი იყო. მანქანა კი ზუსტად ისეთი, როგორიც ერთ დროს ჩვენს ხელმძღვანელს ჰყავდა. მე უკვე ასაკში ვიყავი, ბებია კი თითქოს ისევ ისეთი ახალგაზრდა იყო, როგორიც დამამახსოვრდა. უნდა გენახათ, ის ისეთი ლამაზი იყო, ნეტავ თქვენც იქ ყოფილიყავით…

რეკავს ტელეფონი

კ ლ ი მ ი :

- ალო დიახ, უკვე გამოვდივარ.
- შემთხვევით, მძღოლი ქალი ხომ არაა?
- არა არაფერი, უბრალოდ რაღაც გამახსენდა …

ყურმილს დებს და გადის

ფარდა

© 2022